რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთ[illegible]თი, 21 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 61 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და ტფილისის კომიტეტების ორგანო. 61

# შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

## დამყარდა დროებითი ზავი

### ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

**გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!**

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

**ბრძოლა**

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: ერთი წლით ღირს 24 მ.
ნახევარი წლით „ 12 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
მუშაზეთ[illegible] მიეკიმათ ცალი 07 კ.

[illegible] „[illegible]ჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ო[illegible] ხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში, შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საწუალებით შეიძლება არსებობდეს.**

## ანარქია და წესიერება

მეტათ მძიმე პ რობებში უხდება მოქმედება სახალხო კომისარების საბჭოს. გამანადგურებელმა ომმა და ბურჟუაზიის შეუკავებელმა ძარცვამ მეურნეობა საესებით არივ-დარია, ხალხი წელში გასწყვიტა და მთელი ქვეყანა უფსკრულის პირზე მიაყენა. ასეთ პირობებში გზა ხსნისა მხოლოთ ერთათ ერთია, ხალხმა თითონ უნდა მოკიდოს მთელ სახელმწიფო საქმეს ხელი, უკუაგდოს ყოველგვარი ბატონები და ძიძები და გმირული თავგანწირულებით შეუდგეს ახალი ცხოვრების შექმნას. სწორეთ აქეთ გადადგა ნაბიჯი მუშათა და სალდათთა დეპუტატების მეორე სიეზდმა, (რომელსაც შემდეგ შეუერთდა გლეხთა სიეზდიც), როდესაც მან მთელი ძალაუფლება ხელთ აიღო და შექმნა ახალი მთავრობა—სახალხო კომისარების საბჭო.

მაგრამ ასეთი მთავრობა, — მუშების და გლეხების მთავრობა—მეტათ უჩვეულოა ისტორიაში და მას მთელი ძველი ქვეყანა აშკარა წინაალმდეგობით და ბრძოლით შეხვდა. ამნ[illegible] რათ ამ მთავრობას უნდება განახორციელოს თავისი პროგრამა სამოქალაქო ომის ატმოსფეროში. მას ებრძვიან არა მარტო ბურჟუზია და მემამულეები, მას ებრძვიან წვრილ ბურჟუზიული პარტიები—ესერები და მენშევიკები, რომელთაც თავი მოაქვთ ხალხის ინტერესების დამცველობით.

რას უწუნებენ ახალ მთავრობას?

მან სამოქალაქო ომი გამოიწვია და ცხოვრებაში ანარქია გაამეფაო.

ამ ბრალდებაში ერთი რამ არის საყურადღებო. ახალი მთავრობა აღმოცენდა კერენსკის მთავრობის ნანგრევებზე. თუ არა კერენსკის დამხობით, ხალხი ძალა-უფლებას ვერ აიღებდა ხელში. კერენსკის მთავრობამ ნებით არ დასთმო თავისი ბატონობა, ამიტომ აუცილებელი შეიქნა მასთან ბრძოლა. ვინც სამოქალაქო ომს იწუნებს და მის გახსენებაზე ტუჩებს ბზეკს, ის კმაყოფილი ყოფილა კერენსკის მთავრობით, ის მოსურნე ყოფილა, რომ ხალხს უდრტვინველათ ეზიდნა კერენსკის უღელი.

ნამდვილათ ამის გამოაშკარავების ვერ ბედავენ ვითომ და ხალხის მოპირისფლე მენშევიკ-ესერები, ისინი ახლა კრინტსაც ვერ სძრავენ კერენსკის დახაცავათ კარგათ იციან, რომ ამ პოზიციაზე შედგომა სრულიათ გაუტეხს მათ სახელს ხალხის თვალში.

კერენსკის მთავრობა რომ ღირსი იყო დამხობისა, ამას კიდეც აღიარებენ ისინი მიკიბ-მოკიბულათ, მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც ებრძვიან ახალ მთავრობას, და ამ ბრძოლაში საბოლოვოთ ეერთდებიან კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას.

იქნება მათ პროგრამა არ ქოსწონთ ახალი მთავრობისა? მართალია, მთავრობა სოციალისტ[illegible] [illegible] მიმართული, მაგრამ უახლოესი მისი პროგრამა, რომელიც საკმაოთ დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს, არის ზავი, მიწა და თავისუფლება. ეს პროგრამა იმდენათ შესისხლხორცებული აქვს ხალხს, რომ მის წინაალმდეგ აშკარათ ვერ ლაპარაკობს ვერც ერთი თავხედი კონტრ-რევოლიუციონერი. ახალი მთავრობა მტკიცეთ ადგია თავის პროგრამას და ამ უკანასკნელის უარყოფა არც მენშევიკ-ესერებს შეუძლიათ.

ისინი მთავრობასთან ბრძოლის დროს შორიდან უვლიან, რომ შინ მშვიდობით მივიდენ. ისინი მთავრობის პროგრამას ვერ იწუნებენ და მის შემადგენლობაზე მიაქვთ იერიში. მართალია, მთავრობა სოციალისტურია, მაგრამ შიგ მარტო ერთი პარტიაა გამეფებული, სხვა პარტიებს იქ წარმომადგენელი არა ყავთო.

ეს უფრო ფრთხილათ გამოთქმული უნდობლობაა ახალი მთავრობის პროგრამის წინაალმდეგ. მაგრამ ფაქტიურათ აქაც სიყალბეს სჩადიან ამ ბრალდების ავტორები. ბოლშევიკები არც ერთ სოციალისტურ პარტიას არ უკრძალავენ მთავრობაში მონაწილეობას, მაგრამ თვით ეს პარტიები არ ეკარებიან მას. ისინი ბურჟუაზიასთან ერთათ ებრძვიან მას და მის წინაალმდეგ ისეთ იარაღსაც ხმარობენ, რომელზედაც ბურჟუაზიას ხელი ნაკლებათ მიუწვდება: ეს არის ბოიკოტი და საბოტაჟი.

რაღა გვრჩება მათი ბრალდებიდან? რათ ეურჩებიან ახალ მთავრობას არა მარტო ბურჟუაზია, არამედ მათი დამცველი მენშევიკ-ესერებიც?

მიზეზი სწორეთ პროგრამაშია. ის არ მოსწონს ბურჟუაზიას, არ მოსწონთ არც მენშევიკ-ესერებს. არც ერთი და არც მეორე ამას პირდაპირ არ ამბობენ. ზავის, მიწის და თავისუფლების პროგრამის წინ ლმდეგ ვერ ილაშქრებენ. მაგიერათ ხელზე იხვევენ სამოქალაქო ომს და ანარქიას და ამ საბაბით ებრძვიან ახალ მთავრობას, ებრძვიან მის პროგრამას.

როდესაც ახალი მთავრობა მოექცა ქვეყანას სათავეში, სამოქალაქო ომიც მაშინ გაჩნდაო. ეს მართალია. ახალ მთავრობას მშვიდობა არ მოუტანია ქვეყნისთვის, მაგრამ ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ძველმა ქვეყანამ არ დასთმო თავისი ბატონობა და მახვილი აილო ახალი ძალის შესამუსრავათ. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] მოატოვებს ბრძოლის ველს და სამოქალაქო ომის ამტეხს მონურათ მოუხრის ქედს, ამას, რასაკვირველია, ვერ ჩაიდენს რევოლიუციონური მთავრობა. ის მედგარ ბრძოლას აწარმოებს მეამბოხე ბურჟუაზიის წინაალმდეგ და მას ვერ შეაშინებს ყვირილი სამოქალაქო ომსა და ანარქიაზე.

ანარქია და სამოქალაქო ომი ბურჟუაზიის შექმნილია. ახალი მთავრობა არავის არ მიუვარდებოდა სახლში თოფ-ზარბაზნით და არ გამოიწვევდა მით უმიზნო სისხლის ღვრას. მაგრამ როცა თვით მას მიუვარდენ, მოინდომეს მუშების და გლეხების ძალა-უფლების დამხობა, ხალმა მთავრობამაც თავის დასაცავათ იარაღს მოკიდა ხელი, თავდაცვიდან ის თავდასხმაზედაც გადავიდა, რადგან მხოლოთ სუსტი მხარე რჩება მუდამ თავდაცვის პოზიციაზე დგომას და მთავრობას კი საამისოთ საქმე არ გახდენია.

რაც უფრო ჩქარა და საფუძვლიანათ დაპარცხდება სამოქალაქო ომის გამომწვევი და ანარქიის შემქნელი ბურჟუაზია, მით უფრო მალე და მტკიცეთ დამყარდება რევოლიუციონური წესიერება. ხალხი არ დასთმობს თავის უფლებას, მთავრობაც ერთგულათ ემსახურება მის ინტერესებს.

## დღესასწაული

გუშინ ქართველმა ნაციონალისტებმა ნოე ჟორდანია მთელი ქართველობის ბელადათ გამოაცხადეს. დღეს ქართველი მუშათა გაზეთი მოუწოდებს ქართველ მუშებს იდღესასწაულონ ამ ბელადის დაბადების დღე. აქედან მხოლოთ ერთი ნაბიჯი აკლია, რომ მენშევიკების პარტია გადაიქმნეს ქართველი მუშების

პარტიათ. ჭეშმარიტათ, რევოლიუციონურ ხანაში ვცხოვრობთ!

როგორ გამოეხმაურებიან გელეიშვილის მოწოდებას ქართველი მუშები? მიხვდებიან თუ არა ისინი, რომ მათი ხელმძღვანელი ორგანოები საჭიროთაც აღარა სცნობენ დამალონ თავისი ნაციონალისტური კურსი? იგრძნობენ თუ არა ისინი, რომ ქართველი მენშევიკების პოლიტიკა სავსებით უარყოფს ინტერნაციონალს და მით კავკასიის მუშათა მოძრაობას საბედისწერო მომავალს უმზადებს?

ჩვენ კი ჩვენის მხრით ვიტყვით: „ერთობის“ № 220-ში დასტამბული მოწოდება ქართველ მუშებისადმი სრულაც არ არის შემთხვევითი მოვლენა, ის ერთი პატარა რგოლია იმ მიმდინარეობისა, რომელმაც მენშევიკების ოპორტიუნიზმი ამ უკანასკნელ ხანს ნაციონალიზმამდე ჩამოაგორა.

---

## კვალ და კვალ

### „ერთობა“ და კლასთა ბრძოლა.

ვინც თვალყურს ადევნებს „ერთობას“, მისთვის უეჭველია ერთი რამ: მას შემდეგ, რაც ჩვენი მენშევიკები დარწმუნდენ, რომ ახალი მუშათა და გლეხთა მთავრობა არა თუ არ სუსტდება და ქრება, (როგორც მოელოდენ და ნატროდენ მენშევიკები), არამედ თანდათან ძლიერდება და მაგრდება,—„ერთობის“ სამი მეოთხედი ადგილი დათმობილი აქვს ბოლშევიკებთან ბრძოლას. „ერთობა“ ხედავს (არ შეიძლება არ დაინახოს), რომ ბოლშევიზმი და რევოლიუცია იმარჯვებს, მენშევიზმი სრულიათ გა[illegible] და ამიტომ იგი („ერთობა“) ვარდება და სისტემატიურათ მტკნარ სისულელეს და უაზრობას ჩმახავს.

„ერთობის“ (№ 220) მოწინავე გვპირდება გვემუსაიფოს ბურჟუაზიის შესახებ, მარა თავიდან ბოლომდე ლაპარაკობს (უფრო მართალი რომ ვთქვათ: ჭორიკანობს) მხოლოთ ბოლშევიკებზე.

ამ წერილში ყველაზე უფრო საყურადღებოა ის, რომ ბრძენი პუბლიცისტი საცოდავათ ცდილობს დაამტკიცოს: არც პაგრომებს თვითმპყრობელობის დროს, მიმართულს ურიების წინააღმდეგ, არც კალედინ-დუტოვების წინააღმდეგ ბრძოლას, არც კონტრ-რევოლიუციონური მოსკოვ-პეტროგრადის ქალაქის საბჭოების გარეკას და სხ. კლასიური ხასიათი არ ქონდა და არ აქვსო. მაშასადამე, დღევანდელი სამოქალაქო ომი ეს კლასთა ბრძოლის ნიადაგზე კი არაა აღმოცენებული, არამედ გამოწვეულია ბოლშევიკების ქინიანობითო.

აი ასეთია საწყალი პუბლიცისტის ვითომდა მარქსისტული ფილოსოფია: ასეთი აბდა-უბდის მქადაგებელი ხალხი კიდევ გაიძახის: ჩვენ საუკეთესო მარქსისტები ვართ, ბოლშევიკები ანარქისტებიაო.

დღეს გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფემაც კი იცის, რომ სამოქალაქო ომი კლასთა ბრძოლაა, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო გამყვლეფელთა და გაყვლეფილთა შორის, რომ პირველთა გამარჯვება ნიშნავს ბურჟუაზიულ რეაქციას, მეორეთა გამარჯვება კი რევოლიუციის გამარჯვებაა. ეს არ იცის მხოლოთ „ერთობამ“, რომელსაც კითხულობენ ათი ათასზე მეტი მუშა და გლეხები.

ჭეშმარიტათ „ერთობას“ თავისი მკითხველებში კლასიური შეგნების მაგიერ (რაზედაც იგი წარა-მარა ლაყბობს) შეაქვს მხოლოთ ბურუსი და სიბნელე სამწუხაროა, რომ მშრომელთა მასაში „ერთობას“, ამ კომიკურ და მატყუარა გაზეთს კიდევ ამდენი გასავალი აქვს.

**გორის წერილი.**

„ერთობის“ ამავე ნომერში მოთავსებულია გრძელი წერილი გორიდან. ამ წერილში ლაპარაკია მიტინგის შესახებ, რომელიც გაუმართავს გორის მ. და ს. დეპ. საბჭოებს. ამ მიტინგს გამოუტანია ასეთი დადგენილება: „ჩვენ, გორის გარნიზონი, ვუცხადებთ ზიზღს და გულის წყრომას ავანტიურისტ ბოლშევიკებს დამფუძნებელ კრების დაშლის გამო. ჩვენ ვუძღვნით დამფ. კრებას გულ წრფელ სალამს და მას ჩვენ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდი დავიცავთ. ძირს ბოლშევიზმი! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას“!

აი ასეთია „ერთობის“ და ბოლშევიკების მიერ გულუბრყვილო მკითხველების დატყუილების ნაყოფი. შეცდომაში შეყვანილი გორელი „ობივატელები“, რომლებსაც ნამდვილ მენშევიკებათ მოაქვთ თავი „სოციალისტი“ მაჩაბელის მეთაურობით, გმობენ ბოლშევიკებს, რომელთაც თურმე „დამფუძნებელი კრება ჩაშალეს: ამას ამბობენ მენშევიზმის ერთგული გორელები იმ დროს, როცა „ერთობისთვისაც“ კი ცხადია ახლა რომ არავითარი მსგავსი ფაქტი (დამფ. კრების ჩაშლა) არ მომხდარა. ეს ტყუილი გორელებში გაავრცელა თვითონ გაზ. „ერთობამ“. ამ ტყუილს გორელები აღარ გაიმეორებდენ, რომ „ერთობის“ გარდა, მაგ. „ბრძოლასაც“, კითხულობდენ, მაშინ ისინი დაინახავდენ, რომ „ერთობა“ ჩვენმა გაზეთმა ტყუილში დაიჭირა, რის შემდეგაც მას („ერთობა“) მუშ., სალდ. და გლეხ. ცენტრალურმა მთავრობამ გარეკა დამფ. კრება კი არა, ქეთილო გორელებო, არამედ პატარა კონტრ-რევოლიუციონური, ავანტიურისტული ჯგუფი, რომელსაც უნდოდა მიეთვისებია მთელი დამფ. კრების სახელი.

გორელები თავის რეზოლიუციაში ამბობენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ დამფ. კრებისათვის. ჩვენ ტაშს უკრავთ გორელების ასეთ გმირულ განზრახვას, თუ ისინი თანახმა გახდებიან „პატარა“ შესწორება შეიტანონ თავის გადაწყვეტილებაში, სახელდობრ: ხალხმა თავდადებით უნდა დაიცვას დამფ. კრება, თუ ის რევოლიუციონური იქნება და გაყვლეფილი კლასების ინტერესების ბოლომდე დაიცავს. ამას გარდა: საჭიროა, გორელებმა იცოდენ ერთი რამ: რომ დამფ. კრების მოწვევა შესაძლებელი გახდა მხოლოთ მაშინ, როცა სახელმწიფოს სათავეში მოექცენ მუშები და გლეხები ბოლშევიკების მეთაურობით. მანამდე კი, მთელი რვა თვის განმავლობაში ბურჟუაზიული და კოალიციური მთავრობები მენშევიკ-ესერების (ობორონცების) მეთაურობით მხოლოთ ატყუილებდენ ხალხს და კონტრ-რევოლიუციონურ და იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ემსახურებოდენ.

აი ეს „წვრილმანი“ რომ სცოდნოდათ გორელებს, ასეთ შემცდარ ნაბიჯს არ გადასდგამდენ. მარა ჩვენ მათ არ ვამტყუნებთ, ჩვენ ვკიცხავთ მხოლოთ „ერთობის“ ხელმძღვანელებს, რომლებიც ასე ატყუილებენ ხალხს.

---

## იმპერიალიზმი, როგორც ახალი საფეხური კაპიტალიზმისა.

(გადმოღ. ლენინის წიგნიდან).

---

### 5. ქვეყნის დაყოფა კაპიტალისტთა კავშირებს შორის.

კაპიტალისტები აარსებენ მონოპოლისტურ კავშირებს—კარტელებს, სინდიკატებს, ტრესტებს—და იყოფენ შინაურ ბაზარს თავიანთ შორის. ამ კავშირების წინ უძლურია ყველა განცალკევებული საწარმოვო დაწესებულებანი, ისინი ილუპებიან და ამა თუ იმ ქვეყნის წარმოება მთელათ უვარდება ხელში კაპიტალისტების კავშირებს.

მაგრამ კაპიტალიზმის დროს შინაური ბაზარი აუცილებლათ დაკავშირებულია გარეშე ბაზართან. კაპიტალიზმმა უკვე დიდი ხანია შექმნა მსოფლიო ბაზარი. კაპიტალის გარეთ გატანა თანდათან იზრდებოდა და ამასთან ერთათ მონოპოლისტური კავშირები ფართოთ ავრცელებდენ თავის გავლენას, როგორც საერთოთ საზღვარ-გარეთ, ისე კოლონიებში. ამის მიხედვით „ბუნებრივი“ ხდებოდა საერთაშორისო კარტელების დაარსება, მათი მსოფლიო შეთანხმება.

ამ ნაირათ, კაპიტალის და წარმოების კონცენტრაცია მსოფლიო ხასიათს ღებულობს. ეს უმაღლესი საფეხურია კონცენტრაციის განვითარებაში. აქ მყარდება ერთგვარი ზე-მონოპოლია, რომელიც მთელ ქვეყანას ფარავს.

ვნახოთ, როგორ ჩნდება ეს ზე-მონოპოლია.

თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკას ახასიათებს ელექტრონის მრეწველობა. იგი ძლიერათ ვითარდება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეტადრე [illegible] უფრო ის ორ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაშია განვითარებული: შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში.

გერმანიაში ამ დარგის კონცენტრაციას დიდათ შეუწყო ხელი 1900 წ. კრიზისმა. კრიზისი ყველაზე უფრო მწვავეთ მოედო წვრილ წარმოებებს, ბანკებმა, რომლებიც ამ დროისთვის უკვე იყვნენ შეხორცებული მრეწველობასთან. შკოლის მაგიერ, ყველა ზომები მიიღეს, რომ ეს წარმოებები დაღუპულიყვნენ და ისინი მსხვილ წარმოებებს ჩაეყლაპა.

ამის შედეგი ის იყო, რომ 1900 წ. შემდეგ კონცენტრაცია მდევის ნაბიჯით წავიდა წინ. რამდენიმე ათეული საზოგადოება ერთ ან ორ საზოგადოებათ გაერთიანდა.

ამ სახით აღმოცენდა სახელგანთქმული „საერთო კომპანია ელექტრონისა“, რომელიც გაბატონებულია 175—200 საზოგადოებაზე („მონაწილეობის“ სისტემის მიხედვით) და მის განკარგულებაშია ერთნახევარი მილიარდი მარკა, მას აქვს საზღვარ გარეთ 34 პირდაპირი წარმომადგენლობა, მათ შორის 12 აქციონერური საზოგადოებაა 10-ზე მეტ სახელმწიფოში. ეს უზარმაზარი დაწესებულება მთელი ევროპის ამ დარგის წარმოებას მარტოთ მარტო თავის ხელში უყრის თავს.

ამავე დროს ხდებოდა ელექტრონის კონცენტრაცია ამერიკაში, სადაც დაარსდა მეორე ასეთივე უზარმაზარი საზოგადოება.

და აი 1907 წ. ამერიკის და გერმანიის ტრესტები ხელშეკრულობას სდებენ, თუ როგორ გაიყონ ერთმანეთ შორის ქვეყანა. მეტოქეობა ისპობა. გაყოფის შემდეგ ამერიკის საზოგადოებას ერგო შეერთებული შტატები და კანადა; გერმანიის საზოგადოებას კი— გერმანია, ავსტრია, რუსეთი, ჰოლანდია, დანია, შვეიცარია, ოსმალეთი, ბალკანეთი. შეთანხმება მოხდა აგრეთვე იმის შესახებ, რომ ერთმანეთს გაუზიარონ ახალი გამოგონება და გამოცდილება

მართალია, აქ სახელით ორი საზოგადოებაა, მაგრამ ფაქტიურათ ისინი ერთ მთელს წარმოადგენენ; ეს ერთი მსოფლიო ტრესტია, რომლის განკარგულებაშია რამდენიმე მილიარდი მარკა და რომელსაც დედამიწის ყველა კუთხეებში მოწყობილი აქვს თავისი განყოფილებები, წარმომადგენლობა, აგენტურები და კავშირები. ვიღას ძალუძს მეტოქეობა გაუწიოს ასეთ უზარმაზარ კავშირს!

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა დედამიწა დაყოფილი აქვთ ამ ორ უძლიერეს ტრესტს, მაგრამ ამ ქვეყნათ მუდმივი არაფერია და ადვილათ შეიძლება მათ შორის ხელმეორე გაყოფა მოხდეს მთელი ქვეყნისა, თუ რა საკვირველია, მათ შორის ძალთა განწყობილება შეიცვალა.

ამ ხელმეორეთ გაყოფის მაგალითს იძლევა ნავთის მრეწველობა.

ნავთის მსოფლიო ბაზარი უკვე დაყოფილი აქვს ორ უდიდეს ფინანსიურ ჯგუფს: როკფელერის „ნავთის ტრესტს“ ერთი მხრით და ბაქოს ნავთის პატრონებს—როტშილდს და ნობელს, მეორე მხრით. ორივე ეს ჯგუფი მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთს არ ეცილებიან და თავ-თავის „სამფლობელოს“ განაგებენ. მაგრამ მათ მონოპოლიურ მდგომარეობას რამდენიმე წელიწადია ხუთი მტერი ემუქრება: 1) ამერიკის ნავთის წყაროების დაშრეტა, 2) მანთაშევის ფირმა ბაქოში 3) ნავთის [illegible], 4) რუმინიის და 5) იმიერ ოკეანიის წყაროები ნავთისა, რომელიც ეკუთვნის ჰოლანდიას და რომელიც დაკავშირებულია ინგლისის კაპიტალთან.

სამი უკანასკნელი საწარმოვო საქმე გერმანიის ბანკებთან არის დაკავშირებული, რომელთაც სათავეში უდგია „გერმანიის ბანკი“. ამ ბანკებმა დამოუკიდებლათ განავითარეს ნავთის მრეწველობა, მაგ. რუმინიაში, რომ დასაყრდნობი წერტილი ქონოდათ მეტოქესთან ბრძოლაში,

გაიმართა ბრძოლა, რომელსაც ეკონომიურ ლიტერატურაში სწორეთ „ქვეყნის დაყოფისათვის“ ბრძოლას უწოდებენ. როკფელერმა მოინდომა ყველაფერი ხელში ჩაეგდო და ამ მიზნით დაარსა საზოგადოება-შვილი ჰოლანდიაში. „გერმანიის ბანკი“ შეეცადა როგორმე შეერჩინა რუმინია, და გაიერთიანებია ის რუსეთთან როკფელერის წინააღმდეგ. როკფელერს მეტი კაპიტალი ქონდა, მასვე ხელს უწყობდა საუკეთესოთ მოწყობილი ტრანსპორტი ნავთისა. ბრძოლა გათავდა „გერმანიის ბანკის“ სრული დამარცხებით. მას ორში ერთი უნდა ამოერჩია: ან უნდა გაეუქმებია მთელი თავისი ნავთის წარმოება და მილიონობით ზარალი ენახა, ან უნდა დამორჩილებოდა. „გერმანიის ბანკიც“ დამორჩილდა და ახალი ხელშეკრულობით მეტათ მძიმე პირობებს მოაწერა ხელი.

მეტათ დამახასიათებელია საერთაშორისო ელსის კარტელის ისტორია. ინგლისის, ბელგიის და გერმანიის ზავოდებმა პირობა შეკრეს არ გაეწიათ ერთმანეთისათვის მეტოქეობა შინაურ ბაზარზე, გარეშე ქვეყნები კი ასე დაიყვეს: 66 პროც. ინგლისს, 27 პროც. გერმა-

ნიას და 17 პროც. ბელგიას. ინდოეთი მთლათ ინგლისს მიასაკუთრეს.

ამ დაყოფიდან აშკარაა, რომ ვისაც რა ძალა გააჩნია, მის შესაფერ ლუკმას იგდებს ხელთ.

კაპიტალი ინტერნაციონალური ხდება. ამის საუკეთესო გამომხატველია საერთაშორისო კარტელები. ეს გარემოება საბაბს აძლევს ზოგიერთ ბურჟუაზიულ მწერლებს ის აზრი გამოსთქვან, რომ ხალხთა შორის მშვიდობა დამყარდება კაპიტალიზმის დროსვე და ომი შეუძლებელი გახდებაო.

მაგრამ საერთაშორისო კარტელები მხოლოთ იმას აჩვენებს, თუ რისთვის სწარმოებს ბრძოლა კაპიტალისტების კავშირების, მათ მონოპოლიებს შორის. რომ ბრძოლა სწარმოებს, ეს აშკარაა; მისი ფორმა შეიძლება შეიცვალეს სხვადასხვა პირობების გამო, მაგრამ ბრძოლის არსებითი მხარე მისი კლასობრივი შინაარსი არ შეიცვლება, სანამ კლასები არსებობენ.

კაპიტალისტების კავშირთ შორის მყარდება ერთგვარი ურთიერთობა ქვეყნის ეკონომიურათ გაყოფის ნიადაგზე; ამასთან ერთათ, მის გვერდით და მასთან დაკავშირებულათ მყარდება ერთგვარი ურთიერთობა პოლიტიკურ კავშირთა —სახელმწიფოებს შორის იმის ნიადაგზე, რომ ქვეყანა ტერიტორიალურათ დაიყონ, აწარმოვონ ბრძოლა კოლონიებისათვის, „ბრძოლა სამეურნეო ტერიტორიის დასაპყრობათ."

## შეკითხვა ამიერ-კავკასიის კომისარიატის ავტორებს.

მოქალაქენო, ამიერ-კავკასიის კომისარიატის ავტორნო! როცა თქვენ საბოლოოთ დარწმუნდით, რომ 24—26 ოქტომბრის რევოლიუცია და მისი შედეგი ე. ი. სრულიათ რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის ხელში მთელი ძალა-უფლების გადასვლა არც ისე სახუმრო საქმე იყო, როგორც თქვენ გეგონათ, მაშინ თქვენ სასწრაფოთ (11 ნოემბერს) შეიკრიბენით სახალხო სახლში და გადასძახეთ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ, რომ რუსეთის რევოლიუცია განსაცდელშია, რადგან იქ, პეტროგრადში ცენტრალური მთავრობის ძალა-უფლება გადავიდა ბოლშევიკების ხელში, და რომ აქ კავკასიაში იგივე არ მომხდარიყო, თქვენ ურჩიეთ შეკრებილთ ცენტრალური მთავრობიდან გამიჯვნა, ე. ი. საკუთარი მთავრობის დაარსება; რომელიც იმოქმედებს (და რომელიც უკვე თვეზე მეტია, რაც მოქმედებს) ცენტრალური მთავრობისგან სრულიათ დამოუკიდებლათო.

თქვენ ამიერ-კავკასიის კომისარიატის (მთავრობის) დაარსების საჭიროებას ასაბუთებდით ამგვარათ: ოქტომბრის რევოლიუციას ისეთი მთავრობის შედგენა მოჰყვა, რომელიც არაა პოპულიარული ე. ი. არ სარგებლობს ფართო დემოკრატიის ნდობით, ამიტომ ასეთი მთავრობა თავისი ორგანიული მუშაობით საშინელ ანარქიას, არევ-დარევას მოახდენს ყველა დარგში, რაც მავნებელია რუსეთის რევოლიუციისათვის, და რომ ჩვენ არ გავხდეთ მონაწილე ამ არევ-დარევის, საჭიროა დავიარსოთ ჩვენი მთავრობა, რა თქმა უნდა, დროებით, სანამ არ შესდგება ისეთი მთავრობა, რომელიც ყველასაგან იქნება ნდობით შემოსილი.

აი რით და როგორ ამართლებდით და ამჟამათაც ამართლებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის შედგენას.

მაშასადამე თქვენი ეს განზრახვა გამოწვეული იყო იმ „კეთილი" სურვილით რომ ამიერ-კავკასია არ ყოფილიყო ჩათრეული ცენტრალურ მთავრობის, სახალხო კომისარების საბჭოს იმ „ანარქო-ბლანკისტურ" და „სინდიკალისტურ-ავანტიურისტულ" პოლიტიკაში, რომელსაც თქვენი აზრით აწარმოებს, და რასაც, თქვენი წინასწარმეტყველობით, მოყვება კონტრ-რევოლიუცია და მით ყველა ბრძოლით შენაძენის დაკარგვა.

მარა რატომ დაივიწყეთ და რატომ არ მოგაგონდათ ასე მოქცეულიყავით მაშინ, როცა გუჩკოვ-მილიუკოვის სამინისტროს კრიზისი მომწიფდა და დაისვა კითხვა სამინისტროს შედგენაზე კოალიციონური სისტემით, ე. ი. მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე რევოლიუციონური დემოკრატიის, სოციალისტების სახით. თქვენ ხომ წინააღმდეგი იყავით სამინისტროში სოციალისტების მონაწილეობის მიღების, რადგან ისინი იქნებოდენ შირმა, რომლის უკან მემამულე-კაპიტალისტების მინისტრები გააკეთებდენ თავიანთ ბნელ საქმეებს; ამ საკითხში თქვენმა რუსეთელმა ამხანაგებმა სხვა პოზიცია დაიჭირა და გადაწყვიტა ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლა; თქვენ ამ გადაწყვეტილებას დაემორჩილეთ. თქვენ როგორც განსაკუთრებულ პოზიციაზე მდგომნი ამ კორდინალურ საკითხში რატომ არ ჩამოშორდით ცენტრალურ მთავრობას, რომ მონაწილე არ გეხადათ ამიერ-კავკასია იმ პოლიტიკის, რომელსაც აწარმოებდა კერენსკი-ტერეშჩენკოს მთავრობა წერეთელ-სკობელიობის მონაწილეობით?.

მოსკოვის თათბირს მოჰყვა გენ. კორნილოვის ამბოხება კონტრ-რევოლიუციონური მიზნით, რაშიაც მას მხარი დაუჭირა ბურჟუაზიამ,—კადეტების სახით. მაშინ თქვენ თქვით: დადგა დრო, როცა ბურჟუაზიას გვერდი უნდა შევაქციოთ და მთავრობა შევადგინოთ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ დემოკრატიული ორგანიზაციებისაგან, ე. ი. ერთფეროვანი.

პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე თქვენი პოზიცია დამარცხდა; გაიმარჯვა იმ პოლიტიკამ, რომელსაც მეთაურობდა ც. წერეთელი.

რატომ არ აივსო თქვენი მოთმინების ფიალა და არ ჩამოშორდით ცენტრალურ/მთავრობას, რომელიც შესდგებოდა აშკარა კონტრ რევოლიუციონერებისაგან?

ნუ თუ ის მთავრობა, რომელიც 8 თვის განმავლობაში, რუსეთის განაწამებ ხალხს ატყუებდა, ღირსი იყო თქვენი კავშირის, და დახმარების, და ის მთავრობა კი, რომელიც სრულიათ რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა მეორე ყრილობამ წარმოშობა, არ იყო ღირსი თქვენი კავშირის და დახმარების?

განა 8 თვის განმავლობაში არსებული მთავრობა, რომელსაც სათავეში ედგა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის აგენტები, უფრო აღრმავებდა რევოლიუციას თავისი მუხანათური პოლიტიკით, ვიდრე საბჭოების მიერ შედგენილი და ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე პასუხის მგებელი მთავრობა?

ქ. ხომერიკი.

# რუსეთის ქრონიკა.

### უკრაინის რადა და კონტრ-რევოლიუცია.

ყოფილმა მთავარ სარდალმა, გენერალმა ვერხოვსკიმ, როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან, რადას განუცხადა, რომ იგი მზათაა სამსახური გაუწიოს მას. მას სხვა რამდენიმე ასეულმა აფიცერმა და იუნკერმაც მიბაძა და სამხრეთისაკენ გაემგზავრა, რომ იქ რადას მიეშველონ მუშათა და გლეხთა მთავრობის საწინააღმდეგოთ. ასე რომ რადამ უკრაინა კონტრ რევოლიუციის ერთ მთავარ პუნქტათ გადააქცია.

### „რადა" და კალედინი.

როგორც გაზეთებიდან ვტყობილობთ მოკავშირეთა კაპიტალისტებმა დახმარება აღუთქვეს როგორც რადას ისე კალედინს, რადამ მუშათა და გლეხთა მთავრობას შეუთვალა, რომ იგი კალედინთან კავშირის გაწყვეტას უარყოფს. მეორე მხრით სახალხო კომისართა საბჭოს მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით ატყობინებენ, რომ კავკასიის არმიამ ფრონტიდან 100,0000 ჯარის კაცი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დასძრაო.

### მოწოდება უკრაინის ხალხისადმი.

ძმებო-უკრაინელებო! ჩვენი და თქვენი თავისუფლების მტრებს უნდათ გაგვთიშონ ჩვენ! ცენტრალური რადა რუსეთის საბჭოთა მთავრობას გადაუდგა და მის მტრებს მიემხრო.

ცენტრალური რადა კერენკის კონტრ-რევოლიუციონურ მთარობას შეუთანხმდა იმაზე, თუ იმპერიალისტური რუსის ბურჟუაზია რამდენათ გულმოწყალე გამოდება და რამდენი გუბერნიის უკრაინის საზღვრებში შეტანას დასთანხმდება.

ცენტრალური რადა ამ მიზნით გზავნიდა პეტროგრადში დელეგაციებს კერენსკისთან და ნეკრასოვთან მოსალაპარაკებლათ და ქედმოხრილათ იტანდა ამ კონტრ-რევოლიუციონერ მმართველებისგან თავისი დელეგაციების ათასგვარ დამცირებას; მაშინ როდესაც მას დღემდე არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რომ რაიმე მოლაპარაკება გაემართ[illegible] რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობასთან, რომელმაც რუსეთის ყველა ერებს გზა გაუხსნა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

კიდევ მეტი—სწორეთ იმ დროს, როცა მუშათა და გლეხთა რევოლიუციამ რუსეთის მთავარ პუნქტებში გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ყველგან გაიმარჯვა, ცენტრალურმა რადამ ჩვენს რევოლიუციას ზურგში მახვილი ჩასცა. კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც შავრაზმელი გენერლის, კალედინის მეთაურობით დაიწყო დონზე, მან ქვეყნის სასაცილოთ, დონის მხრის მცხოვრებთა „თვითგამორკვევათ" ჩასთვალა; და რადამ კორნილოვის მომხრე კალედინთან მოლაპარაკებაც გამართა. რადა ხელს უშლის რევოლიუციონ. რაზმებს და ნებას არ აძლევს კალედინის სამფლობელოსკენ გადავიდენ, მაშინ როდესაც კალედინს გზა გაუხსნა თავისი კონტრ-რევოლიონური ძალებისათვის თავი მოეყარა რევოლიუციის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ.

რადა იმაზე კიდევ უფრო შორს წავიდა. მან ისეთი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა, რაც ყველა შეგნებულ მუშებისა და სალდათების გულს აღშფოთებით აღავსებს. ცენტრალური რადა ღამით კიევში თავს დაესხა რევოლიუციონურ ჯარს, იარაღი აჰყარა მას და კიევიდან გააძევა. ეს კი სამრათ გამოწვევაა მთელი რუსეთის მუშათა კლასისა. ეს ბრძოლაში გაწვევაა: რევოლიუციონური სალდათების, მუშების და გლეხების.

ძმებო, უკრაინელებო!

თქვენ გარწმუნებენ, თითქო ჩვენ უკრაინის თვითგამორკვევის წინააღმდეგ გამოვდივართ. ეს—სიცრუეა, ერთი წუთითაც არ გვიფიქრია ჩვენ უკრაინის უფლებათ შევხებოდით. მარტოთ მარტო რევოლიუციონური პროლეტარიატია დაინტერესებული იმაში, რომ ყველა ქვეყნის ერების თვითგამორკვევის უფლება სრულიად უზრუნველ ყოფილი იქნეს თუნდაც ეს სახელმწიფოდან მათ სრულ გამოყოფას ითხოვდეს.

თუნდაც მარტო სისწორით გაგებულ ნაციონალურ ინტერესების თვალსაზრისითაც თქვენ, უკრაინის ხალხო, მხარი უნდა დაუჭიროთ რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობას. დაფიქრდით ხვალინდელ დღეზე. სადაა ის კლასი, რომელიც შეიძლებდა ყველა ერების თავისუფლების უზრუნველყოფას და მათ შორის უკრაინელებისაც.

თქვენ რევოლიუციის 8 თვის განმავლობაში იხილეთ მხოლოდ კადეტური ბურჟ. პოლიტიკა და კოალიციონური მინისტროების პოლიტიკაც, სადაც მენშევიკები და ესერები ისხდენ. და ეს პოლიტიკა, უკრაინის ეროვნულ თავისუფლების განადგურებისაკენ იყო მიმართული. ჯერ ისევ რამდენიმე დღის წინათ, ვიდრე კოალიციონური მთავრობა" დაეცემოდა, კერენსკიმ რადის წევრნი პეტროგრადში გაიწვია, რომ ისინი პასუხის გებაში მიეცა. კადეტების ცენტ. კომიტეტი, რომელიც კალედინის მიერ მოწყობილი აჯანყების სული და გულია, დღესაც მზათაა და აშკარათაც აღიარებს იმას, რომ უკრაინის თავისუფლება ერთიანათ ჩახრჩობილ იქნას. ცენტრალური რადა კი მაინც კორნილოვის მომხრე კადეტებს აძლევს ხელს

როგორც კი იგრძნეს, რომ ცენტრალური რადა მოღალატეობის გზას დაადგა მყისვე გაჩნდენ კიევში კონტრ-რევოლიუციის ყორნები. ყველა ქვეყნების იმპერიალისტები ახლა დიდ იმედებს ამყარებენ რადას გამოსვლაზე. უცხოეთის მცარცველი კაპიტალისტები მზათ არიან სესხი მისცენ უკრაინის რადას, რათა მან შეიძლოს რუსეთის მუშათა და სალდათთა რევოლიუციის გამკვლავებ. პარტიები და ბელადები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მზათ იყვნენ უკრაინის თავისუფლება ფეხქვეშ გაეთელათ. დღეს მასთან ერთათ შეთქმულობა და აჯანყებას აწყობენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. უკრაინელო მუშებო! თქვენი ინტერესები კაპიტალისტებს მიყიდეს!

უკრაინელო ჯარის კაცნო!

თქვენ მთელი რუსეთის საერთო არმიის ოჯახის წინააღმდეგ გამხედრებენ. უნდათ ჩაგაბან თქვენ ძმათა სისხლის მღვრელ ომში, უკრაინის მემამულეთა ინტერესების დასაცველათ.

უკრაინელო გლეხებო!

თქვენ ველარ იხილავთ მიწას, ველარ მოესწრებით თავისუფლებას თუ რუსეთის მუშებსა და სალდათებს გამოეყოფით.

გახსოვდეთ ეს, გახსოვდეთ, რომ როცა ცენტრალური რადა რუსეთის მუშათა და გლეხთა დიდებული რევოლიუციის წინააღმდეგ წავიდა, ამით უდიდესი დანაშაული ჩაიდინა მთელი რუსეთის მუშათა, გლეხთა და სალდათთა წინაშე მთელი ინტერნაციონალისა.

მოითხოვეთ რადის ხელახალი არჩევა, მოითხოვეთ, რომ ძალა-უფლება უკრაინაში გადაეცეს მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. დე ამ საბჭოებში უკრაინელები სჭარბობდენ. დე თქვენშიაც გამაგრდეს საბჭოთა მთავრობა, რომელსაც მარტო შეუძლია უზრუნველყოს მუშათა, სალდათთა და გლეხთა ინტერესები.

ცენტრალური რადა მხოლოთ იმის ცდაშია, რომ უთანხმოება და შუღლი

ჩამოაგდოს ჩვენსა და უკრაინელებს შორის. მაგრამ ჩვენ ამ წუთშიაც გიცხადებთ თქვენ: საბჭოთა მთავრობა თქვენი ეროვნული თავისუფლების დამცველია ისე, როგორც სხვა ყველა ერისა, რომელიც კი რუსეთის საზღვრებში მოსახლეობს. ჩვენ გეუბნებით თქვენ: უკრაინის მუშა, უკრაინის გლეხი, რუსის მუშის, რუსის გლეხის —ღვიძლი ძმებია; ბოლო უკრაინელი გლეხი და უკრაინელი მემამულე ერთიმეორის მოსისხლე მტრებია. დამყარდება სოციალიზმი. დადგება დრო, როცა მთელი კაცობრიობა ყოველგვარ მონობასა და ჩაგვრისაგან განთავისუფლდა და მაშინ ბოლომოღება სრულიათ ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასაც.

მაშ ასე: ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის, მუშების, სალდათების და გლეხების გამარჯვებისათვის, სოციალიზმისათვის!

სრულიათ რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

სრულიათ რუსეთის გლეხთა დეპუტატების სიეზდი.

პეტროგრადის მუშა და სალდათთა დეპუტატების საბჭო. წითელი გვარდიის შტაბი. მუშათა პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლები: პოლკის კომიტეტები.

პეტ. მუშათა და სალდათთა რაიონული საბჭოები.

# პროვინცია.

ამხანაგო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

გაზეთ „ერთობის“ მე 204 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ხაშურის ბოლშევიკების შესახებ; არსებითაც არ მინდა გავსცე პასუხი „სოციალისტ“ გიმნაზისტს ბ. მანელის ფსევდონიმით, რომელსაც თავის მდიდრულ ლექსიკონში სხვა სიტყვა ვერ უპოვია, გარდა „აქაური კუდაბზიკა ბალშევიკებისა“.. რას ნიშნავს ასეთი უშვერი სიტყვები უპასუხისმგებლო კორესპონდენტისა, თუ არა უვიცობას, მაგრამ მანელის უვიცობა (რომელიც მენშევიზმის ფანატიზმითაა გაჟღენთილი) რა გასაკვირია, როდესაც თვით „ერთობის“ რედაქცია დიდის ხალისით ათავსებს ასეთ უშინაარსო კორესპონდენციებს იმ პირობით კი, რომ უკანასკნელი ბოლშევიკების წინააღმდეგ იყოს მიმართული, მაგრამ ასეთი გზით „ერთობა“ და მისი ამყოლნი ფონს ვერ გავლენ; ბოლშევიზმი, როგორც რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია სათავეში უდგია რუსეთის მუშათა კლასს, პროლეტარიატს, რომელმაც ძირს დაამხო ბურჟუაზიულ რეაქციონური მთავრობა და მის ნანგრევებზე ააშენა მუშების და გლეხების მთავრობა; თქვენ გსურთ სახელი გაუტეხოთ ასეთ მთავრობას, აარსებთ ცალკე ბურჟუაზიულ მთავრობას ყველა ჯურის ნაციონალისტებთან ერთად (ამიერ-კავკასიის კომისარიატი) და ეროვნულ საბჭოს, მაგრამ ასეთი ხრიკებით თქვენ ვერ მოიმკით სასურველ ნაყოფს.. ნაადრევი გამოდგა მანელის უბრალო არითმეტიკული ანგარიში; ბოლშევიკები ხაშურში 4—5 კაცი არისო, არჩევნების დროს ჩვენ სიას № 5 ხმა მისცა ხაშურში 19-მა კაცმა, სურამში -37-მა, ბორჯომში კი 161-მა, რომლებსაც ერთად გვაქვს მოწყობილი ორგანიზაცია.

ი. შალაბერიძე.

## გურიის რამე-რუმე.

ოზურგეთში არსებობს სასურსათო „კომიტეტები“, მათი მოქმედება უფრო იმაში გამოიხატება, რომ აქ შემოტანილ და გატანილ საქონელზე (თუ კი ასეთი იქნება) გადასახადი დაადვან და არა იმაში, რომ ეცადონ სურსათი იყვის მცხოვრებლებისათვის. მართალია, ძნელია დღეს სურსათის შოვნა, მაგრამ ყოველ-შემთხვევაში, საჭიროა მეტი ენერგია, რადგანაც. ზოგიერთი სასურსათო „კომიტეტის“ წევრები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას რიგიანათ.

— ეს ერთი ხანია სპეკულიაციის გამო ხშირათ კეტავენ და ღებენ სავაჭრო დუქნებს, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავთ. ნიხრის შემოღება მაშინ დაიწყეს, როცა მაღაზიებში თაროები დაცარიელდა, ალბათ აქაც ერთგვარი „ხათრი“ იყო აქ მოღვაწე „ობორონცების“.

— ქ. ოზურგეთში არსებობს მრავალი სკოლა: არიან მრავალი მასწავლებლები, როგორც ქალები ისე კაცებიც. ზოგიერთ სკოლებში ვერ არის რიგიანათ საქმე დაყენებული, ამბობენ ზოგიერთ მასწავლებლებს სურთ კარიერის შექმნა, მაგრამ რადგან ძველი კანცელარია აღარ არსებობს, ამნაირს ეძებენ მოწაფეებში, მაგრამ მოწაფეები მეტი მომწიფებულნი აღმოჩნდენ ვიდრე ზოგიერთი „მასწავლებლები“. ასეთმა მოქმედებამ ნაყოფი უკვე გამოიღო: აქაური „მენშევიკ-ობორონცები“ ამაყობენ იმით რომ მოწაფეების დიდი უმრავლესობა მათ მხარეზეა. ამ მიზნით ხშირათ ლექციებსაც კითხულობენ „პოლიტიკურ მომენტზე“. მოზრდილ მოწაფეებს გარდა, რომლებიც ასე თუ ისე გარკვეული არიან, დიდი უმრავლესობა ესწრება სრულიათ ბავშვები, რომლებსაც ჯერ კიდევ ან ბანი არ გაეგებათ, უბრალო „ჩაგონებით“, „ხათრით“, „შიშით“, „ნათლი-მამობით“, თითებს სწევენ, ოვაციებს უმართავენ „მენშევიკ-ობორონცებს“ და უკანასკნელნიც ხომ ოვაციების „ბალხია“ და მით ამაყობენ, რომ „შეგნებული“ „დემოკრატია“ მათ მხარეზეა.

— ამას წინათ ადგილობრივ თვითმართველობის სხდომაზე სხვა საკითხთა შორის ირჩეოდა კითხვა ამიერ კავკასიის კომისარიატის შესახებ. ერთმა ხმოსანთაგანმა (არა ბალშევიკმა) ორიოდე სიტყვით შენიშვნები გაუკეთა ზემო მოხსენებულ კომისარიატს, რამაც დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია, ზოგიერთები განცვიფრებული იძახაც გაიძახოდნენ: ამას რას მოვესწარით, ოზურგეთის ხმოსანი და ბალშევიკიო. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ: შეიძლება ზომებიც მიიღონ: და ამ ხმოსანს, (არა ბალშევიკი, მხოლოთ ბალშევიკათ მონათლული) როგორც ხმოსანს, ანგარიში აღარ გაუწიონ.

— როგორც გავიგეთ, აქ სდგება ქართული პოლკი. ამბობენ, რომ „ყველას“ შეუძლია ჩაეწეროს შიგ, ნამდვილ სალდათს, გამოპარულ სალდათს და სხ. ამიტომ ვინც ჩამოვიდა უკან აღარ ბრუნდება. მამულიშვილები დიდ ფაცაფუცში არიან, ემზადებიან „სამშობლოს“ დასაცავათ.

ხკვინჩა:

## ქ. სამტრედია.

„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო“. რომ იტყვიან, სწორეთ ისე დაემართა ჩვენს სამტრედიას. თუმცა არც წინეთ ყოფილა საქმე აქ კარგათ მოწყობილი, მაგრამ ეხლა მთლათ წყალწაღებულია. ძველ „მამებს“ არ გამნტყუნებოდით, თუ ისინი ხალხისათვის არაფერს აკეთებდენ, მაგრამ დღეს, როდესაც ქალაქი მენშევიკ-ობორონცების ხელშია, რომლებიც თავის თავს სოციალ დემოკრატებს უწოდებენ, რათ არ გააკეთეს ხალხისა, თვის და ქალაქისათვის კარგი რამე? ქალაქის საბჭოში თითქმის ყველა ობორონცებია. ისინი უხვათ პირდებოდენ ხალხს ოღონდ თქვენ მოგვეცით ხმა და ყველაფერს მოვაგვარებთო, მერე სად არის დანაპირები? მაგრამ როდის იყო ობორონცები ხალხის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდენ და ხალხის სასარგებლოთ რამეს აკეთებდენ!? არამც თუ აქ, სამტრედიაში, არამედ როდესაც მთელი სახელმწიფო და ხალხის ბედ-იღბალი მაგათ ხელში იყო, მაშინაც ერთი იოტის ოდენა არაფერი გაუკეთებიათ და აქ რომ გადაჭარბონ სხვებს და იმუშაონ, „სირცხვილი იქნება! რის ობორონცებია, თუ ხალხს არ მოატყუებენ ლამაზ ლამაზ ლოზუნგებით, ხმას მიაცემიებენ, თავისიანებს გააყვანინებენ და მერე არხეინათ განისვენებენ.

აქაურ ობორონცებს რომ კითხოთ რა გააკეთეთო, გიპასუხებენ: როგორ თუ რა, ჩვენ სამტრედიას მივანიჭეთ ქალაქის სახელის. განა მაგათი წყალობით მიიღო სამტრედიამ ქალაქობა? სრულებითაც არა. და განა საქმე ფორმაშია, ქალაქობაშია? თავი და ბოლო შინაარსია თავარა, ცარიელ, სახელში რომ რამე ეყაროს დღეს არავინ არ აგიკრძალავთ, თუ გნებავთ ლონდონია დაარქვათ.

სამტრედია დღეს წარმოადგენს ჩათხრობილ, ჩაბილწულ დაბას. სოფელიც უკეთესი მოწყობილი იქნება ქ. სამტრედიაზე. ქუჩა ქუჩას არ გავს, ღამე რომ გაიარო დაეცემი და ცხვირ პირს დაიმტვრევ, განათებისგან ღმერთმა დაგიფაროს, სხვა და სხვა ადგილების გაწმენდა, გასუფთავება სირცხვილია მათთვის. და როდესაც სამტრედია ტრაღიკულ მომენტს განიცდის და ენერგიული მუშაობა ეჭირება, სწორეთ მაშინ ქალაქის „თვითმართველობას“ სძინავს. ჯერ ხმოსნებს არ გაუგიათ, თუ ხაჭიროა საქმეს ხელის კიდება.

ან რა უნდა გააკეთოს ისეთმა ხალხმა. როგორიცაა ობორონცების ხმოსნები. მაგათ ბალშევიკების გინების და დემაგოგობის მეტი არაფერი ახსოვთ. დაავიწყდათ ის დაპირებანი, რომლებიც აღუთქვეს ხალხს.

კორიანტელი.

## ღია წერილი ამხანაგ მილიციონერებს.

ამხანაგო მილიციონერებო! დადგა გადამწყვეტი ხანა თბილისში. ქარიშხალი არის მოსალოდნელი. ყველამ თავის ციხე სიმაგრეს უნდა მიაშუროს და მომსვლელ მტერს იქიდან გასცეს პასუხი, თორემ შეიძლება მტრის ბანაკს ჩვენი ძალაც მიემატოს და ამითი კი ჩვენს მიზნებს და რწმენას ვუღალატოთ, განა ღალატი არ იქნება, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის ბანაკში საქმე ვაკეთოთ, ჩვენი ძმების წინააღმდეგ დავირაზმოთ და ყოველივე თავისუფალი აზრი ძალით ჩავახშოთ, რაღა თქმა უნდა, ეს დიდი ღალატი და ცოდვა იქნებოდა. სწორეთ ამას უნდა მიაქციოს ყველა ცოცხალმა არსებამ ყურადღება, თორემ შემდეგში გვიან იქნება თითზე კბენა.

როგორც ვიცით, ყველამ ნიღაბი ჩამოიხადა და მათ შორის თბილისის პატარა მეფემ კაჩუხოვმაც, რომელიც ყოველ ჯვარედინ გზაზე გაჰყვირს, რომ ჩვენ, მილიციას, მხოლოთ წესიერების დაცვა გვევალება და მეტი არაფერიო. მილიცია არის უპარტიო და აქ არავითარ პარტიულ ელფერს ადგილი არ უნდა ჰქონდესო. მარა ეს ასე არ არის.

30 ნოემბერს როდესაც ობორონცებმა თავდასხმა გააკეთეს და არსენალის ციხე სიმაგრე უბრძოლველათ ხელში ჩაიგდეს, სწორეთ იმ დღისვე მართველობაში საჭირო საქმისთვის შევიარე, კაჩუხოვმა მე შემდეგი მოწყალება და თავისუფლება მიბოძა: ვიდრე არეულობა დაწყნარდებოდეს დასახვენებლათ გამანთავისუფლა, ბალშევიკო, წადი სახლში და დაისვენეო. ძრიელ პატივი მცა ჩემს მდგომარეობაში შევიდა და არეულობაში რომ ძლიერ არ დავქან ულიყავი, როგორც ბალშევიკი დროებით განმათავისუფლა, თან შემდეგი მამაშვილური დარიგება მომცა: წადი და არც შემოიარო აქ, ვიდრე მთლათ საქმე არ გადაწყდება, ან თქვენკენ ან ჩვენკენო. რომელ გამარჯვებაზედ ლაპარაკობს კაჩუხოვი? თუ იმას არ გვიცხადებენ, ობორონცები ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებიან მათ სურთ ჩვენზე გამარჯვება, მათ სურთ ბალშევიკებს ბართლომეს ღამე გაუთიენონ, მარა ჩაუვლით ფიქრები, ისინი ძმას ძმაზე ვერ აამხედრებენ, უკვე ფანტება კონტრ-რევოლიუციის და პროვოკაციის მიერ შექმნილი ბურუსი და ხალხი ირაზმება კალედინების და ყველა მათ მომხრეთა წინააღმდეგ. ჩვენც ხალხთან უნდა ვიყოთ კალედინების წინააღმდეგ. აქ გზა-კვალის არევა მიუტევებელია.

დროებით განთავისუფლებული ბ. ლ.

## ბათუმის ოლქის მოხელეთა დაუდევრობა.

არსად ისე უდიერათ ხალხის ქონებას არ ეპყრობიან, როგორც ბათუმის ოლქში. მაგრამ ეს არც გასაკვირია ბათუმში მართვა გამგეობის სათავეში მოექცა ისეთი პირები რომლებიც ძველი დროითაც სარგებლობდენ და რა გასაკვირია, რომ დღეს მით უფრო ისარგებლებდენ. აქ დაწყებული მილიციის მოხელეებიდან უმეტესობა ის პოდრიადჩიკებია, რომლის წყალობით არა ერთ და ორ ბეჩავ გლეხს დაუწყევლია თავისი დაბადების დღე. ესენი დღეს სარგებლობენ იმით რომ ხალხის ქონება მათ ხელშია და დაუზოგველათ ფანტავენ. დღეს ყველამ იცის, როგორი შემშილია ტყვია წამლის, მაგრამ ეს ვაჟბატონები არ დაგიდევენ და წარა-მარა აპნევენ მათ.

აგრეთვე ავტომობილების მტრევასაც არ აქვს საზღვარი. დღეს აქ მიაქროლებენ, ხვალ იქ და კიდევ ვინ იცის სად. მერე რათ იმტვრევენ ისინი ასე თავს? რა ენაღვლებათ? პუგაჩოვის არ იყოს, „Пошади чужія, хомут не свой“ ეს ვაჟბატონები დაინახავენ ვინმე იარაღიან ხალხს მაშინვე იარაღს ართმევენ და რასაკვირველია ე. წ. „სპეციალნი დოხოდის პარაგრაფში“ გადარიცხავენ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა იარაღი მოეწონებათ, თავის თვისაც იტოვებენ. აი ასეთი ბოროტ მოქმედება არის გამეფებული მთელ ბათუმის ოლქში. ხშირად გაიგონებთ მათგან პურიშკევიჩების დაპატიმრები წინააღმდეგ პროტესტებს:ამით პიროვნების ხელშეუხლებლობა ირღვევაო, მაგრამ ქუჩებში ჩხრეკა, ხალხის ჩხრეკა და იარაღის წართმევა მათ მიერ ხადენილი თურმე დასაშვებია დროა ამ თავხედურ მოქმედებას ბოლო მოეღოს, თვარა შესაფერ ჯილდოს მიიღებენ. დროა მუშათა და სალდათთა დეპუტატებმა მაგ ას ყურადღება მიაქციოს. სანამ გვიან არ არის. დროა თვით ხალხმაც ამოიღოს ამის წინააღმდეგ ხმა, სანამ მთლათ გაფლანგავდენ ხალხის ქონებას.

ქაქიახ მეჯობარი